



საქართველოს



რეისკუხლიკა



ანდრია აფაქიძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ქართული არქეოლოგიის პატრიარქი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991 წწ.), თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი **ანდრია აფაქიძე**.

ანდრია აფაქიძე დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს სოფელ ზანაში. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტობის წლებიდან დაინტერესდა საქართველოს არქეოლოგიით და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ემსახურა ეროვნულ მეცნიერებას, მის განვითარებას.

1943-1952 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.ჯანაშიას სახელლობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორია, 1952-1972 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელია, 1972 წლიდან – ანტიკური ხანის განყოფილების გამგე.

1967 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს – ნამდვილ წევრად.

1980-1987 წლებში ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, 1988-2002 წლებში მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1994 წლიდან ანდრია აფაქიძე ხელმძღვანელობს მის მიერვე დაარსებულ გ.ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტს.

2002 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

დიდმნიშვნელოვანია აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მეცნიერული ნაღვაწი ქართველოლოგია-კავკასიოლოგიაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ათეული სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს და სახელი გაუთქვეს ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებას.

ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული მრავალი საველე-არქეოლოგიური სამუშაოთი გამოძიებულია ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ანდრია აფაქიძე იყო მათი დაუღალავი მკვლევარი, პოპულარიზატორი, დამცველი.

განსაკუთრებული იყო ანდრია აფაქიძის საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს არქეოლოგიურ კომისიას, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებას, იყო ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე ბრძანდებოდა თავისი სახელგანთქმული მასწავლებლების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი ნიორაძის ღირსეული მოწაფე და, თავის მხრივ, ათეულობით ქართველი არქეოლოგისტორიკოსის მოძღვარი და გზის გამკვალავი.

წარუშლელია ღირსეული მამულიშვილის, რწმენით, სიკეთითა და სიყვარულით სავსე პიროვნების, ბატონ ანდრია აფაქიძის ნაღვაწი მეცნიერებასა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თ.გამყრელიძე, ფ.თოდუა, ვ.თევზაძე, ვ.ხარატიშვილი, ო.ნათიშვილი, ჯ.ლომინაძე, ე.გამყრელიძე, მ.სალუქვაძე, ვ.გველეხიანი, ვ.კვეციანი, თ.ონიანი, ვ.კვარაცხელია, რ.მეტრეველი, ვ.ხარაძე, ჯ.ხეცურიანი, მ.ზაალიშვილი, ვ.სანაძე, ი.ფრანგიშვილი, ვ.ციციშვილი, კ.ჩოლოყაშვილი, თ.ყაუხჩიშვილი, ზ.წერეთელი, ნ.ჯავახიშვილი, მ.ბერძენიშვილი, მ.ლორთქიფანიძე, დ.მუსხელიშვილი, შ.ნადირაშვილი, ო.ჯაფარიძე, კ.ფიცხელაური, ვ.შამილაძე, ლ.ალექსიძე, ლ.ჩიქავა, ვ.პაპავა, ა.სილაგაძე, ზ.ალექსიძე, რ.გორდეზიანი, ნ.ლომოური, ვ.ლამბაშიძე, ვ.ყიფიანი, ი.გავოშიძე, ი.დავითი, ჯ.აჯიაშვილი, ვ.ბათიაშვილი, ვ.ბერაძე, ვ.ჯაფარიძე, ვ.დონანაშვილი, ა.კალანდაძე, ჯ.აფაქიძე, ბ.მაისურაძე